ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N23

25.12.2018

14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე და ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(12-0318355197-03, 21.12.2018)* (მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა, კომისიას წარუდგინა ინფორმაცია, 2018 წლის ბიუჯეტში დაგეგმილი ცვლილებების ძირითად პარამეტრებთან დაკავშირებით.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება, საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის ღონისძიებებისთვის, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის 170 000,0 ათასი ლარის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და შეადგენს 1 086 863,6 ათას ლარს.

იზრდება შემდეგი პროგრამები: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები 33 784,2 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია 95 346,0 ათასი ლარით, მათ შორის 79 564,3 ათასი ლარი 220 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენისათვის და 15 781,7 ათასი ლარი მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისათვის; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა 5 062,5 ათასი ლარით; საბაგირო ტრანსპორტის განვითარება 2 336,5 ათასი ლარით, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით; 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები 2 302,4 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში ,,შპს ეკოსერვისის" მიერ განსახორციელებელი სამუშაოების დასაფინანსებლად ემატება 9 092,0 ათასი ლარი, ხოლო გამწვანების ღონისძიებებში მიღებული ეკონომიები მცირდება 2 671,6 ათასი ლარით; იზრდება დასუფთავების ღონისძიებები 42 725,5 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა იზრდება 15 700,0 ათასი ლარი,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას ემატება 135,0 ათასი ლარი შშმ პირებისათვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შესაძენად. ასევე მოხდება ერთი ერთეული ავტოტრანსპორტის შეძენა პარასპორტის ცენტრისთვის.

მცირდება შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები: გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 010101)-8 817,3 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში-1 775,6 ათასი ლარით; ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება (კოდი 010204)-700,0 ათასი ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 0201)-8 182,8 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი0202)-2 200,0 ათასი ლარით; საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 020301)-147,0 ათასი ლარით; ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 0207)-193,3 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 020901)-600,0 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება (კოდი 020908)-93,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში-1 366, 0 ათასი ლარით; ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 0210)-308,6 ათასი ლარით; ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 030302)-65,0 ათასი ლარით; ბიზნესის სტიმულირება (კოდი 0401)-34,0 ათასი ლარით; თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 0403)-145,8 ათასი ლარით; თბილისი- საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 0404)-161,7 ათასი ლარით; შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 040702)-20,0 ათასი ლარით; სახელმწიფო

შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 040703)-10,0 ათასი ლარით; საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 0408)-95,4 ათასი ლარით; თბილისის შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 0408)-237,0 ათასი ლარით; ქ. საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 0409)-2,1 ათასი ლარით; ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 0410)-22,6 ათასი ლარით; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენგეგმა (კოდი 0412)-1 330,8 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება ჯამში მცირდება 2 178,2 ათასი ლარით; სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 060101)-260,0 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმიერების ხელშეწყობა (კოდი 070203)-1 120,7 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 070204)-66,8 ათასი ლარით; მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 070602)-439,9 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 0901)-142,1 ათასი ლარით; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები-2 251,5 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგეხსენებათ, რომ კომისიამ 2019 წლის ბიუჯეტი კომისიამ დეტალურად განიხილა 21 დეკემბრის სხდომაზე, დღეს კი მერიის საქალაქო სამსახურებმა წარმოადგინეს 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები. მისასალმებელია არსებული ცვლილებები და ის ფაქტი, რომ 2018 წლის ბიუჯეტმა მილიარდ ლარს გადააჭარბა. არსებითი ცვლილება, სპორტის და ახალგაზრდულ ნაწილში არ განხორციელებულა, მხოლოდ სატენდერო ეკონომიების გადანაწილებაა. მთავარი იყო 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი, სადაც ასახულია ყველა დასასრულებელი სპორტული ობიექტი და სხვა პრიორიტეტები. ასევე, მინდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს ვთხოვო, რომ ერთობლივად დავგეგმოთ წყნეთში, ამილახვრის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობის მონახულება უახლოეს პერიოდში.

ირაკლი გვილავა: ყველა რისკის გათვალისწინებით წყნეთში, ამილახვრის ქუჩაზე, სპორტულ ცენტრს თებერვლის თვეში გავხსნით. ვმუშაობთ, რომ მულტიფუნქციური ცენტრების პროექტები უახლოეს პერიოდში სრულად ჩავიბაროთ.

შალვა ოგბაიძე - დასასრულს მინდა, მადლობა გადავუხადო მერიის საქალაქო სამსახურს და ყველა თანამშრომელს გაწეული საქმიანობისთვის, რადგან 2018 წელი უპრეცენდენტო მასშტაბების სამუშაოების განხორციელების წელი იყო ყველა მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” დადგენილების პროექტს და გადაწყვიტა საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე